



## გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით  
სარჩელის წარმოებაში მიღების, მტკიცებულებათა გამოთხოვის,  
საქმეში მესამე პირების ჩაბმისა და სასამართლოს  
მთავარი სხდომის დანიშვნის შესახებ

5 ნოემბერი, 2020 წელი

ქ. ზესტაფონი

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ზურაბ ბალავაძე

განხილვის ფორმა - ზეპირი მოსმენის გარეშე

მოსარჩელე - ა(ა)იპ სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო  
საზოგადოება

წარმომადგენელი - ნატალია კოსტავა;

მოპასუხე - №51 ზესტაფონის საოლქო საარჩევნო კომისია;

დავის საგანი - 1. ბათილად იქნას ცნობილი ზესტაფონის N51 საოლქო საარჩევნო კომისიის  
2020 წლის 3 ნოემბრის N54/2020 განკარგულება და მასვე დაევალოს N21.49.19 საარჩევნო  
უბნის შედეგების გადასინჯვა (ხელახლა გადათვლა) და ახალი შემაჯამებელი ოქმის  
შედგენა; დაეკისროს N21.49.19 საარჩევნო უბნის კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს  
დისციპლინური პასუხისმგებლობა;

2. ბათილად იქნას ცნობილი ზესტაფონის N51 საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 3  
ნოემბრის N55/2020 განკარგულება და მასვე დაევალოს N21.49.20 საარჩევნო უბნის  
შედეგების გადასინჯვა (ხელახლა გადათვლა) და ახალი შემაჯამებელი ოქმის შედგენა;  
დაეკისროს N21.49.20 საარჩევნო უბნის კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს  
დისციპლინური პასუხისმგებლობა;

## გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

2020 წლის 5 ნოემბერს, ა(ა)იპ სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო  
საზოგადოების წარმომადგენელმა ნატალია კოსტავამ სარჩელით მომართა ზესტაფონის  
რაიონულ სასამართლოს, მოპასუხე - №51 ზესტაფონის საოლქო საარჩევნო კომისიის  
მიმართ, შემდეგი სასარჩელო მოთხოვნებით: 1. ბათილად იქნეს ცნობილი ზესტაფონის N51  
საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 3 ნოემბრის N54/2020 განკარგულება და მასვე  
დაევალოს N21.49.19 საარჩევნო უბნის შედეგების გადასინჯვა (ხელახლა გადათვლა) და  
ახალი შემაჯამებელი ოქმის შედგენა; დაეკისროს N21.49.19 საარჩევნო უბნის კომისიის  
თავმჯდომარესა და მდივანს დისციპლინური პასუხისმგებლობა; 2. ბათილად იქნეს  
ცნობილი ზესტაფონის N51 საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 3 ნოემბრის N55/2020

განკარგულება და მასვე დაევალოს N21.49.20 საარჩევნო უბნის შედეგების გადასინჯვა (ხელახლა გადათვლა) და ახალი შემაჯამებელი ოქმის შედგენა; დაეკისროს N21.49.20 საარჩევნო უბნის კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს დისციპლინური პასუხისმგებლობა;

სასამართლომ შეამოწმა სარჩელი თანდართული მასალებით და მიიჩნევს, რომ იგი პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს და მიღებული უნდა იქნეს წარმოებაში.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანა შესაძლებელი. ამდენად, დავის საგნიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმეში მესამე პირებად ჩაბმული უნდა იქნენ:

პოლიტიკური პარტიები - (პარტია) „თეთრები“; „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“; ნინო ბურჯანაძე-ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა; „დავით ჭიჭინაძე ტრიბუნა - ქდმ“; საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“; „მომავალი საქართველო“; „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ ; „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“; „გაჩეჩილაძე - მწვანეთა პარტია“; „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ ; „მშრომელთა სოციალისტური პარტია“; „მოძრაობა თავისუფალი საქართველოსთვის“ ; „რეფორმერი“; „ბეჟან გუნავა - ქართული არჩევანი“ ; „ახალი ქრისტიან-დემოკრატები“; „ირაკლი ოქრუაშვილი - გამარჯვებული საქართველო“ ; „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“; მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი“; „საქართველო“; „თავისუფალი საქართველო (კახა კუკავა, გიორგი წულაია)“; „ახალი ძალა“; „ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები“; "თავისუფალი დემოკრატები"; ეკა ბესელია - პ.პ. „სამართლიანობისთვის“; საარჩევნო ბლოკი „გიორგი ვაშაძე-სტრატეგია აღმაშენებელი“; „ქართული ფესვები“; „შეცვალე საქართველო“ თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა; „სახალხო პარტია“ ; „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (ედპ)“; „სოციალური სამართლიანობისათვის“ ; „გირჩი“ ; "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" ; რეფორმატორები; „ზვიადის გზა“ (ღმერთის, სიმართლისა და ქვეყნისათვის); „ლევან ჩაჩუა, გურამ ფალავანდიშვილი - ქართული იდეა“; „ეროვნულ დემოკრატიული მოძრაობა“; „გია ჟორჟოლიანი - სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის“; „ზვიად ძიძიგური - საქართველოს კონსერვატიული პარტია“; „არჩევანი სამშობლოსათვის“; „ჯონდო ბადათურია - ქართული დასი“; „პროგრესული საქართველო“; „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“; „სერგო ჯავახიძე-ევროატლანტიკური ვექტორი“; „ტრადიციონალისტები“; „ანა რეხვიაშვილი - სახალხო მოძრაობა ქრისტიან-დემოკრატები“; „ქართული მარში-ეროვნული მოძრაობა“; „ლელო - მამუკა ხაზარაძე“; მამულიშვილთა ორდენი „სამშობლო“ ; „საქართველოს განვითარების პარტია“;

მაჟორიტარობის კანდიდატები: გიორგი წერეთელი; კახა გეწაძე; გელა ჩივაძე; ოთარ შაორშაძე; სამსონი გუგავა; ნოდარ ებანოიძე; თემურ გოგასაძე; დავით შალამბერიძე; ლაშა ლილუაშვილი; მურმან ნებიერიძე; გიორგი გვენეტაძე; დავით გიორგაძე; მერაბ გიორგობიანი; ბეჟან წაქაძე; გიორგი ქუჩიშვილი; ნინო მეფარიშვილი; გიგა გაბრიჭიძე;

ანზორი ფორჩხიძე; ანა ბიბილაშვილი.

№51 ზესტაფონის საოლქო საარჩევნო კომისიის N21.49.19 და N21.49.20 საუბნო საარჩევნო კომისიები.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად, ხოლო ამავე კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველი საქმის ობიექტურად გადაწყვეტის მიზნით, №51 ზესტაფონის საოლქო საარჩევნო კომისიას უნდა დაევალოს წარმოადგინოს ამავე კომისიის 2020 წლის 03 ნოემბრის №54/2020 და №55/2020 განკარგულებების გამოცემასთან დაკავშირებით არსებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების დამოწმებული ასლები სრულად; N21.49.19 და N21.49.20 საუბნო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი და შესწორების ოქმები და ჩანაწერთა წიგნები.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, მე-4, მე-19, მე-16 მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 445-446-ე მუხლებით

## და ა დ გ ი ნ ა:

1. ა(ა)იპ სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლის ნატალია კოსტავას სარჩელი, მოპასუხე - №51 ზესტაფონის საოლქო საარჩევნო კომისიის მიმართ, მიღებული იქნეს სასამართლოს წარმოებაში;

2. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმეში მესამე პირებად ჩაბმული იქნენ: №51 ზესტაფონის საოლქო საარჩევნო კომისიის N21.49.19 და N21.49.20 საუბნო საარჩევნო კომისიები; პოლიტიკური პარტიები - (პარტია) „თეთრები“; „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“; ნინო ბურჯანაძე-ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა; „დავით ჭიჭინაძე ტრიბუნა - ქდმ“; საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“; „მომავალი საქართველო“; „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“; „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“; „გაჩეჩილაძე - მწვანეთა პარტია“; „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია“; „მშრომელთა სოციალისტური პარტია“; „მოძრაობა თავისუფალი საქართველოსთვის“; „რეფორმერი“; „ბექან გუნაგა - ქართული არჩევანი“; „ახალი ქრისტიან-დემოკრატები“; „ირაკლი ოქრუაშვილი - განარჯვებული საქართველო“; „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“; მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი“; „საქართველო“; „თავისუფალი საქართველო (კახა კუკავა, გიორგი წულაია)“; „ახალი ძალა“; „ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები“; „თავისუფალი დემოკრატები“; ეკა ბესელია - პ.პ. „სამართლიანობისთვის“; საარჩევნო ბლოკი „გიორგი

ვაშაძე-სტრატეგია აღმაშენებელი”; „ქართული ფესვები”; „შეცვალე საქართველო” თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა; „სახალხო პარტია“, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (ედპ)”; „სოციალური სამართლიანობისათვის“ ; „გირჩი“ ; „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ ; რეფორმატორები; „ზვიადის გზა“ (ღმერთის, სიმართლისა და ქვეყნისათვის); „ლევან ჩაჩუა, გურამ ფალავანდიშვილი - ქართული იდეა“; „ეროვნულ დემოკრატიული მოძრაობა“; „გია ჟორჟოლიანი - სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის“; „ზვიად ძიძიგური - საქართველოს კონსერვატიული პარტია“; „არჩევანი სამშობლოსათვის“; „ჯონდო ბადათურია - ქართული დასი“; „პროგრესული საქართველო“; „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“; „სერგო ჯავახიძე-ევროატლანტიკური ვექტორი“; „ტრადიციონალისტები“; „ანა რეხვიაშვილი - სახალხო მოძრაობა ქრისტიან-დემოკრატები“; „ქართული მარში-ეროვნული მოძრაობა“; „ლელი - მამუკა ხაზარაძე“; მამულიშვილთა ორდენი „სამშობლო“ ; „საქართველოს განვითარების პარტია“; მაჟორიტარობის კანდიდატები: გიორგი წერეთელი; კახა გეჭაძე; გელა ჩივაძე; ოთარ შაორშაძე; სამსონი გუგავა; ნოდარ ებანოძე; თემურ გოგსაძე; დავით შალამბერიძე; ლაშა ლილუაშვილი, მურმან ნებიერიძე; გიორგი გვენეტაძე; დავით გიორგაძე; მერაბ გიორგობიანი; ბექან წაქაძე; გიორგი ქუჩიშვილი; ნინო მეფარიშვილი; გიგა გაბრიჭიძე; ანზორი ფორჩხიძე; ანა ბიბილაშვილი;

3. მოპასუხე - №51 ზესტაფონის საოლქო საარჩევნო კომისიას დაევალოს: ამავე კომისიის 2020 წლის 03 ნოემბრის №54/2020 და №55/2020 განკარგულებების გამოცემასთან დაკავშირებით არსებული ადმინისტრაციული წარმოების სრული მასალების წარმოდგენა; ასევე, N21.49.19 და N21.49.20 საუბნო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმების, შესწორების ოქმების (დამოწმებული ასლების) და ჩანაწერთა წიგნების წარმოდგენა - 2020 წლის 6 ნოემბრის 12:00 საათამდე;

4. წინამდებარე სარჩელზე მოპასუხე - №51 ზესტაფონის საოლქო საარჩევნო კომისიას შესაგებლის წარმოსადგენად განესაზღვროს ვადა - 2020 წლის 6 ნოემბრის 12:00 საათამდე;

5. საქმეზე დაინიშნოს მთავარი სხდომა - 2020 წლის 6 ნოემბერს, 16:00 საათზე, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მდებარე: ქ.ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N7), რის შესახებაც მხარეებს ეცნობოთ კანონით დადგენილი წესით;

6. განჩინება მესამე პირის ჩაბმის ნაწილში (მეორე პუნქტი) შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით, საქმეში მესამე პირად ჩაბმული პირების მიერ, შემაჯამებელ გადაწყვეტილებასთან ერთად;

7. დანარჩენ ნაწილში განჩინება არ საჩივრდება.

მოსამართლე



ზურაბ ბალავაძე